აწსუ რექტორის, გ. ღავთაძის ანგარიში 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ

პატივცემულო აკადემიური საბჭოს წევრებო,

ჩემი რექტორად მეორედ არჩევიდან ერთი წლის შემდეგ, შეგვიძლია შევაჯამოთ განვლილი პერიოდის ძირითადი მიღწევები და გამოწვევები. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათი გარკვეული ნაწილი აისახა აწსუ ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიშში, რომელიც გაკეთდა ა/წ 27 აპრილს. მიღწეული წარმატებების მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშში, რომლის წარდგენას იგი ფინანსური წლის დასასრულისათვის აპირებს. ამიტომ, წარმოგიდგენთ მხოლოდ იმ ძირითად სიახლეებს, რომლებიც არ მოხვდა ზემოაღნიშნულ ანგარიშებში და ვთვლით, რომ განხილვის ღირსია მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ამრიგად, 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ძირითად სიახლეებს:

1. კვლავ მნიშვნელოვანი წინსვლაა აწსუ საგარეო (მ.შ. საერთაშორისო) ურთიერთობებში.

ხელი მოეწერა არაერთ ხელშეკრულებას, მემორადუმს, ჩამოყალიბდა ახალი ურთიერთობები სამთავრობო სტრუქტურებთან, სხვადასხვა სასწავლო-სმეცნიერო ორგანიზაციებთან, კერძო კომპანიებთან და ა.შ.

1. მემორანდუმები და ხელშეკრულებები

- <u>მეორანდუმები:</u>
  - ✓ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
  - ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
  - ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
  - ✓ იმერეთის მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციები;
  - ✓ საქართელოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემია;
  - ✓ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები - სულ 25, მ.შ. მიმდინარე წელს - 3 მემორანდუმი;
  - ✓ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები - სულ 5, მ.შ. მიმდინარე წელს - 4;
  - ✓ პროფესიული კოლეჯი - 1 (ახალი ტალღა, ქობულეთი).
- <u>საერთაშორისო მემორანდუმები:</u> სულ 45, მათ შორის მიმდინარე წელს გაფორმდა 8 მემორანდუმი.
- <u>პრაქტიკის ბაზები:</u> სულ 70-მდე, მ.შ. მიმდინარე წელს გაფორმდა 34 ხელშეკრულება.
- <u>საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები:</u> მიმდინარე წელს გაფორმდა ორი მემორანდუმი:
  1) ააიპ ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან და
  2) ინფორმაციული განათლების საერთაშორისო ასოციაციასთან.

2. უცხოელი სტუდენტები

მხოლოდ მიმდინარე წელს, უნივერსიტეტმა მიიღო:

ა) ერაზმუსით 3 სტუდენტი შემდეგი ქვეყნებიდან: ლიტვა, პოლონეთი, გერმანია

ბ) მიმდინარე წელს უცხოენოვან პროგრამებზე მივიღეთ: 12 თურქეთის მოქალაქე ბაკალავრიატში, 7 - მაგისტარტურაში, 50-ზე მეტი მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე. მომდევნო სასწავლო წლისათვის ველოდებით

- ✓ დაახლოებით 100 სტუდენტს ინგლისურენოვან პროგრამებზე „მედიცინა“ და „ფარმაცია“,

- ✓ დაახლოებით 10 სტუდენტს სამაგისტრო პროგრამაზე "Leadership and Management in Higher Education".
- ✓ ასევე საიმედო პროგნოზებია ინჟინერიის რუსულენოვან სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით;

აღსანიშნავია, რომ ყველა მოქმედ უცხოენოვან პროგრამაზე სტუდენტთა მოსვლა მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

2. კვლავ გაიზარდა უნივერსიტეტის ჩართულობა საერთაშორისო თუ ეროვნულ პროექტებში, მ.შ., პირველად უნივერსიტეტის ისტორიაში, ჩვენ გავხდით საგრანტო პროექტების აპლიკანტი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - პროექტის მმართველი;

არსებითი წინსვლა შეიმჩნევა საერთაშორისო პროექტებში უნივერსიტეტი ჩართულობის კუთხით. კერძოდ:

<u>1. საერთაშორისო პროექტები</u>

1.1. ერაზმუს+ -ის და ტემპუსის პროექტები

მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგი პროექტები:

1. Erazmus+ პროგრამაში უნივრესიტეტმა წარადგინა პროექტი: „რეგიონული ბიუჯეტების როლი რეგიონების განვითარებაში", რომელშიც ჩართულია საქართველოს ყველა რეგიონული უნივერსიტეტი და ევროპის რამდენიმე წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი. უახლოეს დღეებში ველოდებით საბოლოო პასუხებს;
2. უნივერსიტეტს, კონსორციუმის პარტნიორების თხოვნით, მართვაში გადმოეცა Erazmus+ პროგრამის გამარჯვებული პროექტი „სტუდენტთა ომბუცმენი". ამ კონსორციუმის პარტნიორებია ის უნივერსიტეტები, რომლებთანაც ჩვენ ვითანამშრომლეთ პროექტ „სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების" ფარგლებში;

უნივერსიტეტში ამჟამად ხორციელდება 5 ტემპუსის და 4 ერასმუსის პროექტი, აწსუ საგარეო ურთიერთობებისა და განვითარების სამსახური კოორდინირებას უწევს ყველა პროექტს. 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში, პროექტების ფარგლებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის აქტივობებს:

ა) ჩატარდა შემდეგი **ტემპუსის პროექტის სააკორდინაციო შეხვედრები:**

1. BME-ENA - ბიოსამედიცინო ინჟინერია;
2. ENGITEC - მათემატიკის კურიკულუმის სწავლების გაუმჯობესება საინჟინრო მიმართულებებში;
3. MAHATMA - უმაღლესი განათლების ლიდერების მართვა;

ბ) საგრანტო პროექტის **„ბიოსამედიცინო ინჟინერიის"** ფარგლებში მიმდინარე წლის აპრილში გაიმართა პროექტის დისემინაცია და სააკორდინაციო შეხვედრა;

გ) ჩეხეთის მთავრობის დაფინანსებით და პრაღის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტთან პარტნიორობით, უნივერსიტეტში ჩატარდა **ტრეინინგები**, 12-30 ივლისის გაიმართა **საზაფხულო სკოლა**;

დ) აპრილის თვეში უნივერსიტეტს განახლდა ინგლისური ფირმის **„დელკამის"** ლიცენზია, საინჟინრო მიმართულებების სპეციალობების სტუდენტებისათვის, ჩვენი უნივერსიტეტი პირველია საქართველოში, რომელმაც მსგავსი ლიცენზია მიიღო;

ე) უნივერსიტეტმა მიიღო 20 ახალი შემოთავაზება. მათ შესახებ ინფორმაციას ველოდებით უკვე ყოველდღე;

ვ) შემუშავდა 5 ახალი პროექტი მობილობასთან დაკავშირებით ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში;

წარდგენილი და მოპოვებული საგრანტო პროექტების დინამიკა უკანასკნელი წლების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



1.2. უნივერსიტეტმა პირველად მიიღო მონაწილეობა „ჰორიზონ 2020“ პროექტში.

ჯერ-ჯერობით, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, კონსორციუმში ქართული უმაღლესი სასაწავლელებიდან მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტია წარმოდგენილი.

1.3. აშშ სახელმწიფო დეპარატმენტისა და ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტები

2015 წელს აშშ-ს საელჩომ სახელმწიფო დეპარტამენტის ინიციატივით პირველად გამოაცხადა პროექტები უმაღლესი სასწავლებლებისათვის, უნივერსიტეტი, ამ პროექტის ფარგლებში, მონაწილეობას იღებს 5 სხვადასხვა კონსორციუმში.

გარდა ამისა, მონაწილეობა მივიღეთ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ ორგანიზებულ კონკურსში - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“. ჩვენი პროექტი, საერთო ღირებულებით დაახლოებით 700,0 ათ. აშშ დოლარი, გავიდა ფინალში. მართალია, საბოლოოდ, პროექტი არ დაფინანსდა, მაგრამ უნივერსიტეტის გუნდმა საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინა, რომელიც მომავალში გამოგვადგება. ვაპირებთ, რომ გადამუშავებული პროექტი ხელახლა წარვადგინოთ მომავალ წელს;

1.4. ნორვეგიის მთავრობის გრანტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დახმარებით, აწსუ-მ პირველად მოიპოვა ნორვეგიის მთავრობის დაფინანსება, რომლის ფარგლებში ჩვენთან მოხდება ტურიზმის მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა და სტუდენტთა სტაჟირება, გადამზადება და ა.შ.

1.5. ჩეხეთის მთავრობის გრანტი

აგრარული ფაკულტეტი ჩაერთო ჩეხეთის მთავრობის მიერ დაფინანსებულ საერთაშრისო პროექტში, ფაკულტეტმა მიიღო პირველი საერთაოშიროს სტუდენტები ერაზმუსის პროექტის ფარგლებში და ა.შ.

1.6. ესტონეთის მთავრობის გრანტი

აწსუ-მ პირველად მიიღო მონაწილეობა ესტონეთის მთავრობის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, პროექტით - “Establishing Estonian-Georgian Entrepreneurship Center and Interdisciplinary Course in Innovation

Management at Akaki Tsereteli State University (ATSU)" (ესტონურ-ქართული თანამშრომლობის ცენტრის დაფუძნება და ინოვაციურ მენეჯმენტში ინტერდისციპლინური კურსის შემუშავება აწსუ-ში). დაფინანსების მოცულობა დაახლოებით 50,0 ათ. ევროა.

პროექტის მიზანია ქ. ქუთაისში, რეგიონული საჭიროებების გათვალისწინებით, მცირე ბიზნესის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა, უნივერსიტეტთან მჭიდრო კავშირების დამყარების (ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიისა და ტექნოლოგიის, აგრარული მიმართულებით) ხელშეწყობით, ესტონურ 20 წლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით.

საერთაშორისო პროექტების მნიშვნელობა მათ ფარგლებში მოზიდული სახსრებითაც განისაზღვრება. კერძოდ:



2. ეროვნული პროექტები

2.1. მოეწყო ზაფხულის სკოლა **ამერიკანისტიკაში**, რომლის პეოქტი წარადგინა სამსახურმა და გაუწია ორგანიზება. პროექტი დააფინანა უნივერსიტეტმა;

2.2. აწსუ ხარისხის სამსახურთან ერთად, მომზადდა და წარედგინა „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს" საგრანტო პროექტი **„სტრატეგიული დაგეგმვა რეგიონული უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისათვის"**, რომელიც წელს ვერ დაფინანსდა ორგანიზაციის შესაბამისი ბიუჯეტის ლიმიტირებული შესაძლებლობის გამო და ვაპირებთ მის ხელახლა წარდგენას მომდევნო ფინანსური წლისათვის.

2.3. „ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა" და „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა" ფაკულტეტის სტუდენტებისათვის შემუშავდა ორი პროექტი:

ა) **„სოციალური და კულტურული მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში"**, რომლის ფარგლებში უკვე ჩატარდა არაერთი სხდომა ჩვენი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მაღალი ჩართულობით.

ბ) აწსუ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი აქტიურად იყო ჩართული **„სახელმწიფო მოწყობის საპრეზიდენტო კოლეგიუმის"** პროექტში, რომელიც ხორციელდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა (GIPA) და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ.

ორივე პროექტის მიზანია სახელმწიფო მოწყობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო, აკადემიური და პოლიტიკური დისკუსიების წამოწყება საზოგადოების ჩართულობის გზით. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობას ღებულობენ უნივერსიტეტების პროფესორები, სტუდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება უცხოელი პროფესორების ვიზიტები საქართველოში, რომლებიც 2016 წლის ბოლომდე ჩაატარებენ საჯარო ლექციების სერიებს პრეზიდენტის სასახლეში და საქართველოს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ლექციები შეეხება დემოკრატიის, კონსტიტუციური და სოციალური სახელმწიფოს, ადამიანთა უფლებების, აღიარების და რელიგიის ფილოსოფიის თემატიკას. პროექტში ჩართული არიან და ლექციებს კითხულობენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები: შტეფან გოზეპატი, ანდრეას არნდტი, მათიას კუმი, გეორგ ლომანი, თეო კობუში, ლუდვიგ ზიპი, მიხაელ კვანტე და მარკუს გაბრიელი. აღნიშნული პროფესორები მოღვაწეობენ ისეთ სასწავლო დაწესებულებებში, როგორებიცაა, ნიუ-იორკის (New-York University), სორბონის (Sorbonne University of Paris), ჰარვარდის (Harvard University), იელის (Yale University), ბერლინის (Free University of Berlin), მიუნსტერის (University of Munster), მაგდებურგის ოტო-ფონ-გერიკის (Otto-von-Guericke) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული პიროვნებების ნაწილი უკვე იმყოფებოდა ჩვენს უნივერსიტეტში, ხოლო დანარჩენი გვესტუმრება მომავალი სემესტრის განმავლობაში. ასევე, გათვალისწინებულია ამ პროექტში მონაწილე აწსუ განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების გამორჩევა და მათი მომზადება მოდერატორებად, თანამომხსენებლებად და ა.შ.

2.4. საქართველოს პრეზიდენტის ფონდში დაფინანსებისათვის წარვადგინეთ ორი პროექტი: 1) კრიმინალისტიკის ლაბორატორია, 2) მულტიმედიური ლაბორატორია. თითოეული მათგანისათვის მოთხოვნილი იყო თანადაფინანსება 30,0 ათ. ლარის ფარგლებში. საბოლოოდ, დაფინანსდა **კრიმინალისტიკის ლაბორატორია**. მომავალში გათვალისწინებულია აღნიშნული დაფინანსების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა;

2.5. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო ანტიპლაგიატის კამპანიაში, რომელიც ინიცირებულია Erazmus+ -ის საქართველოს ოფისის მიერ. ჩვენთან ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, რომელმაც საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია;

2.6. ჩვენმა სტუდენტებმა, საკონკურსო შერჩევის შემდეგ, უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიეღოთ „სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუსია“ და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში - „რევოლუცია: კონცეფციები და კონტექსტები“.

3. უნივერსიტეტში წარმატებით ფუნქციონირებს უცხოენოვანი პროგრამები და იზრდება მათი ოდენობა.

ამჟამად მოქმედი პროგრამებია:

1) ერთსაფეხურიანი პროგრამა მედიცინაში (ინგლისურენოვანი);
2) ტემპუსის პროექტის ფარგლებში შექმნილი სამაგისტრო პროგრამა: ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი);
3) რუსულენოვანი სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში

მიმდინარე წელს, ამ ჩამონათვალს დაემატა კიდევ ერთი ინგლისურენოვანი პროგრამა - „ფარმაცია“.

ამჟამად, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა სადოქტორო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“, რომლის მომზადებისათვის უნივერსიტეტის ეცდება რესთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის მოპოვებას. ამ პროექტში მხარდამჭერებად გვევლინებიან მიდლსექსის, ბას-სპას, სამხრეთ უელსის (გაერთიანებული სამეფოები) და მასარიკის (ჩეხეთის რესპუბლიკა) უნივერსიტეტები. აშშ „ფულბრაიტის“ პროექტის ფარგლებში, ამ მიზნით, აღნიშნული პროგრამის გუნდს

შეიძლება შემოუერთდეს ამერიკელი პროფესორი, ჩვენი პარტნიორი მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტიდან.

უნივერსიტეტში არსებული მიდგომები სრულ შესაბამისობაშია არსებულ გამოწვევებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხედვებთან, რაც დაკავშირებულია განათლების ექსპორტირებისა და საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის შესაძლებლობებისა და პოტენციალის კიდევ უფრო გაძლიერებასთან საუნივერსიტეტო დონეზე.

როგორც წინა ანგარიშებში აღვნიშნავდი, ამ პროცესების შემდგომ გაღრმავებას აქვს არაერთი დადებითი შედეგი, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, როგორც სასწავლებლად, ისე გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით;
- ზემოაღნიშნულმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა უნივერსიტეტის ცნობადობისა და მისი იმიჯის ზრდაზე როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.
- სწორი მენეჯმენტის პირობებში, აღნიშნული პროგრამები ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი შეიძლება გახდეს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს უნივერსიტეტისა თუ შესაბამისი ფაკულტეტების ფინანსურ გაძლიერებაში;

4. უნივერსიტეტი კვლავ მაქსიმალურად ცდილობს საკუთარი პროფესორ-მასწავლებლების სტაჟირებას და სტუდენტების სწავლებას უცხოეთში.

ამასთან, ასეთი თანამშრომლების რიცხვი, დინამიურად იზრდება, უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოების პარალელურად.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ იზრდება არამარტო წამსვლელი, არამედ ჩამომსვლელი პროფესორების ოდენობა.

გასული წლების მონაცემების ანალიზი შემდეგნაირად გამოიყურება:

№	ფაკულტეტი	აკადემიური პირების მობილობა (სტაჟირება) სასწავლო წლების მიხედვით									
		2011-2012		2012-2013		2013-2014		2014-2015		სულ	
		წასული	ჩამოსული	წასული	ჩამოსული	წასული	ჩამოსული	წასული	ჩამოსული	წასული	ჩამოსული
1	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა	8		5		6	1	7		**26**	**1**
2	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	22		29		34		31		**116**	
3	საინჟინრო-ტექნიკური			2						**2**	
4	საინჟინრო ტექნოლოგიური	2								**2**	
5	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	2		2						**4**	
6	პედაგოგიური	2								**2**	
7	ჯანდაცვა			1				2	1	**3**	**1**
8	აგრარული										
	0	**36**		**39**		**40**	**1**	**40**	**1**	**155**	**2**

დაფინასების ძირითად წყაროებად კვლავ გვევლინება: Erasmus-ის პროექტი, Tempus-ის პროექტი, აშშ-ს საელჩო, თურქეთის საელჩო, ეგვიპტის საელჩო, რუსთაველის ფონდი, ევროპის სხვადასხვა

უნივერსიტეტები (მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე) და სხვა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად გამოდის თანა-დამფინანსებლის როლში.

ამჟამად, უნივერსიტეტში მოწვეულია შემდეგი უცხოელი პროფესორები:

- **აჰმად საადი**, ეგვიპტე (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), მოწვევა განხორციელდა ეგვიპტის ტექნიკური დახმარების ფონდსა და საქართველოს საგრეო საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. შერჩევას ახორციელებს ეგვიპტის ტექნიკური დახმარების ფონდი და ეგვიპტის რესპუბლიკის საელჩო. ანაზღაურებას ახდენს ეგვიპტის საელჩო;
- **დანა შლუფტმანი**, გერმანია (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) მოწვევა განხორციელდა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ (DAAD), ლექტორის ანაზღაურებას და მისი აქ ყოფნის ხარჯებს იღებს გერმანული მხარე;
- **ნეზამი ტონგა**, თურქეთი, (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) მოწვევა განხორციელდა საქართველოში თურქეთის საელჩოსა და იუნუს ემრეს ინსტიტუტის მიერ, რომლებიც ახდენენ პიროვნებების შერჩევას და დაფინანსებას. ბატონმა ტონგა გაიწვიეს თურქეთის მოვლენების გამო და მომავალი წლიდან ველოდებით ახალ პიროვნებას;
- **სეიედ მოჰსენ ჰუსეინი**, ირანი, (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), მომწვევი ირანის საელჩო საქართველოში;

ასეთივე მზარდი ტენდენციაა სტუდენტთა საერთაშორისო მივლინების კუთხითაც. იზრდება, როგორც საზღვარგარეთ წამსვლელ სტუდენტთა, ისე უცხოეთიდან ჩამოსულ სტუდენტთა ოდენობა. აღნიშნულზე დადებითად მოქმედებს საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება, შესაბამისი საერთაშორისო პროგრამების რაოდენობის ზრდა და უნივერსიტეტის მზარდი საერთაშორისო ავტორიტეტი.

№	ფაკულტეტი	სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა									
		2011-2012		2012-2013		2013-2014		2014-2015		სულ	
		წასული	ჩამოსული	წასული	ჩამოსული	წასული	ჩამოსული	წასული	ჩამოსული	წასული	ჩამოსული
1	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა	5		5		6	3	5	4	**21**	**7**
2	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	28		30		30		33		**121**	**0**
3	საინჟინრო-ტექნიკური					2		1		**3**	**0**
4	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	1	0	1		3	0	1	0	**6**	**0**
5	პედაგოგიური	1		1		1		1		**4**	**0**
6	აგრარული				1		1				**2**
7	სამედიცინო					2	1	2	1	**4**	**2**
	სულ	**35**	**0**	**37**	**1**	**44**	**2**	**43**	**5**	**159**	**11**

დაფინანსება ძირითადად ხორციელდება დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი უნივერსიტეტების ხელშეწყობით.

5. საინტერსო სიახლეებია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში

<u>ა) ხორციელდება აწსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოდერნიზება.</u>

თანამედროვე საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა კვლევისა და სწავლების მაქსიმალური დაახლოება, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში იმპლემენტაციის ხარისხის ამაღლება, კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების ხარისხის ამაღლება, კვლევების ინტერნაციონალიზაცია, კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის მასშტაბების გაფართოება და ა.შ. ყოველივე აღნიშნულის განხორციელება უპრიანია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის დონეზე.

ამ მიზნით, აწსუ სამეცნირო კვლევით ცენტრში არსებული კვლევითი მიმართლებების კურირება ეტაპობრივად გადადის საფაკულტეტო ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის საბჭოების ხელში. ცნობილია, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მოხდა საფაკულტეტო დაფინანსების არსებითი ზრდა (2015 წელს - 200,0 ათ. ლარიდან 2016 წელს - 600,0 ათ. ლარამდე), რომელიც მომავალში, ვფიქრობთ, რომ კიდევ გაიზარდება დაახლოებით 1,0 მლნ. ლარამდე. ამ თანხის ნაწილი, ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება მოხმარდეს კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას, მიმდინარე საჭიროებებისა და ფაკულტეტების უპირატესობების გათვალისწინებით.

რეფორმის შემდეგ, აწსუ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფუნქცია შემოიფარგლება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაორგანიზებელი და მაკოორდინირებელი ქმედებების განხორციელებით უნივერსიტეტის მასშტაბით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა თუ საზოგადოებებთან ურთიერთობით, ინფორმაციათა ურთიერთგაცვლით, საპატენტო საქმიანობის ხელშეწყობით, აწსუ-ში განხორციელებული კვლევის შედეგების კომერციალიზაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.

<u>ბ) უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ფესტივალებში</u>

მისასალმებელია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის, პროფესორები და მკვლევარები ცდილობენ და შესამჩნევ წარმატებებსაც აღწევენ ამ მიმართულებით. კერძოდ:

- გასულ წელს ჩვენი უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო საქართველოს განათლებისა და მეცნეირების სამინისტროს ინიციატივით ორგანიზებული სამეცნიერო ფესტივალის განხორციელებაში. ჩვენს მიერ ორგანიზებული იყო შემდეგი ღონისძიებები:

№	ღონისძიება	ორგანიზატორი სტრუქტურული ერთეული
1	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
2	აწსუ ფაბ-ლაბის პრეზენტაცია ქ. ქუთაისისა და იმერეთის მხარის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის	აწსუ ადმინისტრაცია
3	აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის იშვიათ და უნიკალურ გამოცემათა ახალი კოლექციის პრეზენტაცია	აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა
4	აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის იშვიათ და უნიკალურ გამოცემათა გამოფენა	
5	აკაკი წერეთლის იუბილისადმი მიძღვნილი სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

- ანალოგიური ვითარება იქნება წელსაც. ჩვენს მიერ საკონკურსოდ წარდგენილ იქნა და შეირჩა შემდეგი ღონისძიებები:

№	ღონისძიება	ორგანიზატორი სტრუქტურული ერთეული
1	წიგნის „უცხოეთში შექმნილი პოეზიის ანთოლოგია“ პრეზენტაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი
2	აწსუ ფაბ-ლაბის გამოფენა	აწსუ ადმინისტრაცია, ლაბორატორია FabLab
3	დიზაინისა და ტექნოლოგიის თანამშრომელთა ნამუშევართა გამოფენა	საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი
4	პრეზენტაცია - ახალი თაობის დიაბეტური პროდუქტები	
5	ინვალიდის ქვიშამავალი ეტლისა და საბანაოდ გადასაყვანი ღვედური კვანძის დემონსტრირება	აწსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
6	კაშხალიანი წყალსაცავის ფსკერის თვითგამწმენდი სიფონური მოწყობილობის მოქმედი მაკეტის დემონსტრირება	აწსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი
7	საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების თანამშრომელთა ნამუშევრების პრეზენტაცია	აწსუ საზღვაო ტრანსპორტის ფაკულტეტი

<u>გ) ტრადიციულად, უნივერსიტეტი საკმაოდ აქტიურია სამეცნიერო გრანტების მოპოვების კუთხით.</u>

უკანასკნელი წლების განმავლობაში აწსუ თანამშრომლების მიერ წარდგენილ იქნა არაერთი სამეცნიერო საგრანტო პროექტი, რომელთა შორის ბევრმა წარმატებას მიაღწია და დაფინანსდა. კერძოდ:

- 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში დასრულდა 3 პროექტი, საერთო ბიუჯეტით 487220 ლარი;
- მოქმედებს 10 მიმდინარე პროექტი, საერთო ღირებულებით 1529485 ლარი.

<u>დ) უნივერსიტეტში გამოსაცემად მზადდება ახალი სამეცნიერო კრებული ფილოსოფიის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.</u>

ამჟამად, მომზადებულია კრებულის პირველი ნომერი და დაწყებულია მუშაობა მე-2-ზე, რომელიც წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში გამოვა. ამ ეტაპზე წარმოდგენილია 15 სტატია ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ. მომავალში ავტორთა არეალი კიდევ უფრო გაფართოვდება.

<u>ე) შეიქმნა „მომავლის ინოვაციური ლაბორატორია“ (FabLab).</u>

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭრით უნივერსიტეტში შეიქმნა ინოვაციური ლაბორატორია FabLab, რომელშიც დაახლოებით 500,0 ათ. ლარის აპარატურა და დანადგარები არის დამონტაჟებული. მისი მთავარი ფუნქციებია მეცნიერების (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგების) პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, ინოვაციური პროექტების შემუშავებისა და განხორციელებაში დახმარება, ახალგაზრდებში გამომგონებლობისა და შესაბამისი უნარების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.

6. შემდგომი სრულყოფა განიცადა აწსუ ბიბლიოთეკამ და მის მიერ განხორციელებადმა სერვისებმა.

კერძოდ:

- შეიქმნა ელექტრონული ბიბლიოთეკა (library.atsu.edu.ge), რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ელექტრონული წიგნებით;
- შეიქმნა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში წიგნის ელექტრონული შეკვეთა. სერვისი საშუალებას აძლევს მომხმარებელს სასურველი წიგნი შეუკვეთოს სასურველ სამკითხველო დარბაზში ბიბლიოთეკაში მიუსვლელად;

- 2016 წელს გაგრძელდა წიგნადი ფონდის რეკლასიფიკაცია, ახალი ჩანაწერების შექმნა და ძველი საკატალოგო ჩანაწერების ჩასწორება და მონიტორინგი ერთიან ელექტრონულ კატალოგში (OPAC). ამ მიმართულებით, დღეის მდგომარეობით, განისაზღვრა ან შესწორდა 3187 საინფორმაციო რესურსის კლასიფიკაცია და ჩანაწერი;
- 2016 წელს შეძენილი იქნა შემდეგი ელექტრონული სამეცნიერო ბაზები:
  - ✓ EBSCOhost
  - ✓ Cambridge University Press - Journals
  - ✓ BioOne
  - ✓ Royal Society Publishing – Journals
  - ✓ SAGE
  - ✓ ScienceDirect
  - ✓ Scopus
- სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან (უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები) ელექტრონულ ბაზების მიმართულებით ჩატარადა 5 ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ბაზების შესახებ. ასევე, მონაწილეთათვის სასურველი ინფორმაციის მოძიების უნარების გამომუშავებას;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო 3347 ერთეულით, საიდანაც 1450 შემოწირულობით იქნა მიღებული;
- პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიბლიოთეკარების წარდგინების საფუძველზე ბიბლიოთეკამ 2016 წელს გამოიწერა 95 დასახელების ჟურნალ-გაზეთი. ერთი წლის განმავლობაში პრესის ღირებულება შეადგენს 27872 ლარს;
- წიგნადი ფონდი პერმანენტულად ივსება სასწავლო-სამეცნიერო და მხატვრული წიგნებით. 2016 წლის იანვრიდან დღემდე შეძენილია 77330,65 ლარის ღირებულების წიგნები;
- ავტორიზაცია-აკრედიტაცია გაიარა „ბიბლიოთეკარის“ პროფესიულმა პროგრამამ, რომელზეც განხორციელდა საგაზაფხულო მიღება (სრულად დაკომპლექტდა ჯგუფი - 22 სტუდენტი);
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 თებერვლის №59 დადგენილებით ბიბლიოთეკას დაემატა სტრუქტურული ერთეული „მუზეუმი“, სადაც დღეისათვის შეგროვდა:
  - ✓ მემორიალური ნივთები
  - ✓ გამოჩენილი უნივერიტეტელების პირადი ფონდები და ხელნაწერები
  - ✓ ცნობილი მეცნიერთა პირადი წერილები
  - ✓ ფოტოდოკუმენტები
  - ✓ უნივერსიტეტის დაფუძნებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტები
- 2015 წლის 1 ოქტომბერიდან 2016 წლის 1 აპრილამდე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტაჟირება გაიარა 5-მა სტუდენტმა. სტაჟირება მიზნად ისახავდა:
  - ✓ სტუდენტების ჩართულობას საბიბლიოთეკო საქმიანობაში;
  - ✓ ბიბლიოთეკის შიდა სამუშაოების სპეციფიკის გაცნობასა და მასში მონაწილეობის მიღებას;
  - ✓ გუნდურობის, ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას.
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდიდან 2016 წელს გაციფრულდა 16 რარიტეტული წიგნი. აღნიშნული პროცესი სამი ძირითადი ეტაპისგან შედგებოდა, რომელთაგან პირველი - წიგნების შერჩევა, მეორე - მათი კომპიუტერული დამუშავება და მესამე ციფრულ მატარებელზე გადატანას ითვალისწინებდა;
- წიგნადი ფონდიდნა შეირჩა პერიოდული გამოცემები, რომლებსაც ჩაუტარდა გამაგრებითი სამმუშაოები, მოხდა მათი აკინძვა და ყდაში ჩასმა (246 კომპლექტი);

- 2016 წლის განმავლობაში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ბიბლიოთეკამ შეადარა საბიბლიოთეკო ფონდებს. ფაკულტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა დაამუშავეს: 2010 სასწავლო კურსის 4322 ჩანაწერი;
- 2016 წელს გაგრძელდა ჟურნალების უსასყიდლოდ გადმოცემის პროექტი (Journal Donation Project, The New School, New York). პროექტი ითვალისწინებს:
  - ✓ მაღალ აკადემიური, რეფერირებადი ჟურნალების საჩუქრად გადმოცემას;
  - ✓ მაღალ აკადემიური, რეფერირებადი ჟურნალების ფასდაკლებით გამოწერას;
- საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მოაწყო რარიტეტული წიგნების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო XVII-XIX საუკუნეების ძველნაბეჭდი წიგნები;
- ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, პარტნიური უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკებთან სხვადასხვა სფეროში.

ბიბლიოთეკის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ კონსორციუმის შეხვედრებში მომხსენებლებისა და მონაწილეების სტატუსით; ესწრებიან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილ სემინარებს და აშ.

ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე უნივერსიტეტისა და მისი სამეცნირო ბიბლიოთეკის ცხოვრებაში იყო ის ფაქტი, რომ უწყებათაშორისი კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის აპროექტო ღირებულა 2,5 მლნ. ლარზე მეტია.

შესაბამსი სამსახურების მიერ მომზადდა და გამოცხადდა ტენდერი და სამშენებლო სამუშაოები, სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, უახლოეს პერიოდში დაიწყება.

7. გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფის კუთხით.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის აქტიური იყო, როგორც დებულებით გაწერილი ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებაში, ისე სხვადასხვა ქმედებების განხორციელებაში. მათ შორის აღნიშვნის ღირსია:

1. სტუდენტთა მიღება:
   - ✓ როგორც ყოველთვის, მიღებული იქნა პირველკურსელთ სტუდენტთა პირადი საქმეები, დამუშავდა მონაცემთა ბაზა, გაფორმდა ხელშეკრულებები;
   - ✓ შემუშავდა მაგისტრატურაში მიღების წესი, განხორციელდა მისაღები კონტიგენტის რეგისტრაცია, შეიქმნა მონაცემთა ბაზა, გაფორმდა ხელშეკრულებები;
   - ✓ გაფორმდა ხელეკრულება 2015-2016 სასწავლო წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო მობილობის შედეგად ჩარიცხულ 189 სტუდენტთან და საშემოდგომო და საგაზაფხულო შიდა მობილობის შედეგად ჩარიცხულ 132 სტუდენტთან;
   - ✓ მოხდა ე.წ. minor–ჯგუფებზე ელექტრონული რეგისტრაცია და ჯგუგების დაკომპლექტება, საორგანიზაციო ბრძანების პროექტის მომზადება, minor–ჯგუფების სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და სხვ;
2. სასწავლო პროცესის სამართლებრივი ხელშეწყობა და მონიტორინგი:
   - ✓ განხორციელდა აკადემიური პერსონალის სასწავლო ინდივიდუალური დატვირთვებიდან გამომდინარე ფაკულტეტებიდან მოწოდებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშის ანალიზი, სტატისტიკა;

- ✓ აიტვირთა დიპლომისა და დიპლომის დანართები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბაზაში;
- ✓ შემუშავდა დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილებისა და მოდულის, თავისუფალი კრედიტის და/ან არჩევითი საგნის არჩევის წესი (რექტორის ბრძანება №01-04/40, 24.06. 2016 წ.);
- ✓ განისაზღვრა პედაგოგიურ, სასწავლო, საწარმოო, საველე და პროფესიულ პრაქტიკაზე მიმღები დაწესებულების პერსონალის ანაზღაურების ნორმები (რექტორის ბრძანება №01-04/39, 22.06.2016);
- ✓ განისაზღვრა 2015-2016 სასწავლო წლის საგაზაფხულო მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (ბაგა-ბაღი აღმზრდელი პედაგოგი მეხუთე დონე და ბიბლიოთეკარი მეოთხე დონე) მოწვეული სპეციალისტებისათვის სასწავლო დატვირთვის ნორმატივები, თეორიული მეცადინეობის, პრაქტიკის ანაზღაურების ნორმები, სწავლების კონპონენტების მიხედვით ჯგუფებში სტუდენტთა სარეკომენდაციო რაოდენობები (რექტორის ბრძანება №85 § 3, 25.05.2016 წ.);
- ✓ შეიქმნა და დაინერგა აუდიტორიული მუშაობის (ლექცია-პრაქტიკულზე დასწრება, აქტივობები) აღრიცხვის ახალი ფორმის ჟურნალი როგორც ქართულ ენოვანი ისე ინგლისურ ენოვანი და პროფესიული პროგრამებისათვის სასწავლო მეცადინეობების აღრიცხვის ჟურნალი;
- ✓ განხორციელდა ფაკულტეტების დეკანატების მიერ ზამთრისა და ზაფხულის სკოლების ჩატარებული სასწავლო პროცესისა და შუალედური შეფასებების აღრიცხვის მონიტორინგი და გამოცდების ნორმალურად ჩატარების უზრუნველყოფა;
- ✓ 2014-2015 სასწავლო წლიდან პრაქტიკულად ხორციელდება დეპარტამენტების მიხედვით სააუდიტორიო მუშაობაზე ურთიერთდასწრებისა და საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა.

3. მოხდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე პროფესიული პროგრამებისა და პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის ასახვა: პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, განათლება, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა;

8. კიდევ უფრო გაფართოვდა აწსუ უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობა.

2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:

ა) შემუშავდა ახალი და დაიხვეწა არსებული ტრენინგ მოდულები, რომლებიც წარმატებით ხორციელდებოდა განვლილი პერიოდის განმავლობაში. მათ შორის აღსანიშნავია:

- ➢ სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის;
- ➢ ლექსიკაზე მუშაობა/მენტალური ლექსიკონი;
- ➢ თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში;
- ➢ ელექტრონიკისა და ელექტროენერგეტიკის საფუძვლები;
- ➢ წარმატებული კარიერის შექმნა;
- ➢ ფოტოხელოვნება;
- ➢ პრეზენტაციის უნარ-ჩვევები;
- ➢ სასწავლო რესურსების შემუშავება;
- ➢ გაყიდვების მენეჯმენტი;
- ➢ ხუთი გასაღების პრინციპი უვნებელი სურსათითასთვის;
- ➢ ძვირფასი ლითონების ექსპერტიზა;
- ➢ ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
- ➢ ეფექტური კომუნიკაცია და ა.შ.

მიმდინარე ეტაპზე ცენტრი უკვე ავითარებს 70-ზე მეტი პროგრამას (მ.შ. 10-მდე ახალია). მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ მოთხოვნადია და, შესაბამისად, ამ მოდულებზე მიმართვიანობის ხარისხის მაღალია.

სულ აწსუ უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ გადამზადდა 730-მდე მეტი მსმენელი, მ.შ. 60-მდე ჩვენი თანამშრომელი მომზადდა, როგორც ტრენერი, 30-მა გაიუმჯობესა ინგლისურის ცოდნის კომპეტენცია და ა.შ.

№	წელი	**გადამზადებული თანამშრომლების ოდენობა**		
		ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლება	უცხო ენის სწავლება	ტრენინგის შინაარსი
1	2015	20*		* სწავლა-სწავლის შეფასების თანამედროვე მეთოდები
2	2016	57**	A1-12 B1-7 B2-3 დარგობრივი დონე-3	** მათ შორის: 1. სწავლების ინტერაქტიური მეთოდები-10 2. თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში-17 3. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში; ელექტრონული სწავლების თანამედროვე ფორმები-8 4. სწავლება და შეფასება მოდულურ პროფესიული პროგრამების განხორციელებისას-12 5. ზრდასრულთა სწავლების ტექნიკები-10
	სულ	**77**	**25**	

შენიშვნა: *ცხრილში მოცემულია მხოლოდ აწსუ-ს დაფინანსებით უცხო ენებში გადამზადებულ თანამშრომელთა ოდენობა*

ბ) ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს აწსუ სტუდენტურ თვითმმართველობასთან. ამ უკანასკნელის დაფინანსებით განხორციელდა 4 ტრენინგ-მოდული (გაყიდვების მენეჯმენტი, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, პრეზენტაციის უნარები, ფოტოხელოვნება), რომელშიც ჩართული იყო 80-მდე სტუდენტი.

გ) მოდულური პროფესიული პროგრამის - „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ დანერგვის ფარგლებში, ცენტრმა უფასოდ ჩაუტარა ტრენინგები განმახორციელებელ პერსონალს „სწავლების ინტერატიურ მეთოდებსა“ და „თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში“.

დ) მიმდინარე წელს სიახლეს წარმოადგენდა ცენტრის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. მათ შორის, აღინიშნა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე და აუტიზმის საერთაშორისო დღე;

ე) ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა კონფერენციების ორგანიზებასა და მონაწილეობაში. კერძოდ, ესენი იყო: „ინკლუზიური განათლების ჩაშენებული პრაქტიკის კონფერენცია“ და „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. კონფერენციების მუშაობისათვის აქტიურად გამოიყენებოდა უწყვეტი განათლების ცენტრთან არსებული „პედაგოგიური კლინიკა“.

9. მნიშვნელოვანი წინსვლაა მარკეტინგული საქმიანობის, პროექტებისა ღონისძიებების მართვის კუთხით

უნივერსიტეტის „**მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური**“, დებულებით გათვალისწინებული ფუნქციებიდან გამომდინარე, საანგარიშო წლის განმავლობაში, იყო მრავალი ღონისძიებისა და პროექტის, როგორც ორგანიზატორი, ასევე მხარდამჭერი და ფასილიტატორი. მათ შორის:

- სამსახურის მიერ საანგარიშო წელს მომზადდა და სტამბური წესით გამოიცა უნივერსიტეტის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ბროშურა.
- 2016 წლის მარტში სამსახურის ორგანიზებით, უნივერსიტეტმა პირველად მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში „განათლება საზღვრების გარეშე“, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩატარდა. გამოფენაში მონაწილეობდა ასევე 100-ზე მეტი უნივერსიტეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან (ბრიტანეთი, აშშ, კანადა, გერმანია, ჩეხეთი, საფრანგეთი, ჩინეთი და სხვა). რისთვისაც მომზადდა ბეჭდური და ვიზუალური მასალა (ბროშურა, ტრიფლეტები, ბანერები).
- 9 მარტს, უნივერსიტეტში ჩატარდა ღია კარის დღე, რომელსაც დაესწრო ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის 500-ზე მეტი აბიტურიენტი. აბიტურიენტები გაეცნენ FAB LAB -ის (ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიის) მუშაობის სპეციფიკას და ადგილზე დაათვალიერეს აწსუ სტუდენტების მიერ შექმნილი ინოვაციური პროექტები.
- 22 აპრილს სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა მორიგი ღია კარის დღე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებული აბიტურიენტებისათვის. სპეციალურად ამ დღისათვის, მოეწყო დედამიწის დღისადმი მიძღვნილი არტ-ინსტალაცია და კონკურსი სკოლებს შორის (ყველაზე კრეატიული ვიზუალური პროექტისათვის). კონკურსში მონაწილეობა მიიღო 10 საჯარო სკოლამ. ღონისძიებას დაესწრო 350-მდე აბიტურიენტი.
- გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში, ჩატარდა 15-ზე მეტი შეხვედრა აბიტურიენტებთან. აწსუ-ს პერიოდულად სტუმრობდნენ ქუთაისის, ვანის, ბაღდათის, სამტრედიის, აბაშის, ხარაგაულის, მარტვილის, ცაგერისა და ხონის საჯარო სკოლების 9 და 11 კლასის მოსწავლეები. (საერთო ჯამში 300-ზე მეტი ვიზიტორი).
- სამსახურის ინიციატივითა და კოორდინირებით ჩატარდა ტრენინგი „სამეცნიერო და წერითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ახალგაზრდა აკადემიური პერსონალისათვის“ .

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახურის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- 3 დეკემბერი - შშმ პირთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- 9, 10, 11 დეკემბერი - პარიზში მომხდარი ტერაქტის აღსანიშნავად, საფრანგეთის სოლიდარობის კვირეულის ფარგლებში გამართული ღონისძიებები
- 30.12.2015 - ადმინისტრაციის შეხვედრა ღვაწლმოსილ თანამშრომლებთან და ახალი წლის მილოცვა
- საახალწლო კორპორაციული საღამო 15.01.2016
- 4 მარტს სამსახურის ინიციატივითა და აწსუ ადმინისტრაციის მხარდაჭერით, უნივერსიტეტის თანამშრომელი ქალბატონებისათვის, ჩატარდა ცნობილი ქართველი მომღერლისა და კომპოზიტორის დავით არჩვაძის სოლო კონცერტი.

სამსახურმა წლის განმავლობაში საინფორმაციო და საორგანიზაციო მხარდაჭერა გაუწია 200-ზე მეტ ღონისძიებას, მათ შორის: 20-მდე სამეცნიერო კონფერენციას, 30-მდე ტრენინგ-სემინარსა და ვორქშოფს, 40-ზე მეტ საჯარო ლექციასა და შეხვედრას, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- **ღია ლექციები**: 30-ზე მეტი. მათ შორის:
  - საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის შეხვდა და საჯარო ლექცია თემაზე - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე;
  - 21 ოქტომბერი - თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის საჯარო ლექცია თემაზე: „სასამართლოს მენეჯმენტი და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა“;

- 8 ოქტომბერი - მისისიპის ველის (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ქალბატონ აბიგაილ ნიუსამის საჯარო ლექცია თემაზე: „გარემო და მისი მენეჯმენტი“;
- 23 დეკემბერი - საჯარო ლექცია აწსუ სტუდენტებისთვის ჟურნალისტიკისა და მედია - მენეჯმენტის მაგისტრმა, მედია - ტრენერმა და კომუნიკაციის სპეციალისტმა, ნათია სირაბიძემ. მისივე ავტორობით გამოცემული საჯარო გამოსვლების პრაქტიკული სახელმძღვანელოს ,,წარმატების გასაღები'' პრეზენტაცია;
- 20 იანვარი გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის, თამარ ბაგრატიას საჯარო ლექცია;
- 29 იანვარი,,ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის '' დირექტორის მოვალების შემსრულებლის, თამარ მედულაშვილის საჯარო ლექცია
- 5 თებერვალი საპარლამენტო უმრავლესობისა და ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრის გუგული მაღრაძის და სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის, თორნიკე ნოზაძის შეხვედრა აწსუ სტუდენტებთან თემაზე „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ვიზალიბერალიზაცია“
- 4 მარტი საქართველოს პარლამენტის წევრის, გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის გია ჟორჟოლიანისა და ეკონომიკის სამინისტროს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფის მეცნიერ-თანამშრომლის, დავით ადეიშვილის საჯარო ლექცია და დისკუსია თემაზე: „ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.
- 29 მარტი დევნილთა და განსახლების მინისტრის სოზარ სუბარის საჯარო ლექცია

- **ოფიციალური სტუმრების მიღება და შეხვედრები**: 20-ზე მეტი. მათ შორის:
  - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან მემორანდუმის გაფორმება და მინისტრის შეხვედრა სტუდენტებთან;
  - 14 სექტემბერს - სლოვაკეთის ელჩის ვიზიტი;
  - განათლების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლების შეხვედრა აწსუ სტუდენტებთან;
  - 28 იანვარი ,,სტრატეგიული გეგმა 2020'' საჯარო განხილვა IDFI-ის (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) ორგანიზებით;
  - 29 იანვარი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, დავით ბაქრაძის;
  - 3 თებერვალს - აშშ კულტურის ატაშეს საქართველოში, დემიენ უომპლერის ვიზიტი აწსუ-ში;
  - 19 მაისი საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშეს სტუმრობა.
  - უელსის პარლამენტის თავმჯდომარემ როზმარი ბატლერის, ქუთაისი - ნიუპორტის ასოციაციის დელეგაციისა და სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის წარმომადგენლების ვიზიტი
  - 9 ივლისს „ამერიკის იურისტთა ასოციაცია - კანონის უზენაესობის ინიციატივა“ საქართველოს ოფისის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავი პროგრამების ბიუროს (INL) წარმოდგენლებთან შეხვედრა.
- **პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების დელეგაციებისა და წარმომადგენლების მიღება**: 20-მდე. მათ შორის:
  - 10 დეკემბერი - შეხვედრა დელტას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორთან, ტელბოტ ბრუქსთან;
  - 23 მარტი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებთან შეხვედრა
  - სევილიის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის ვიზიტი ხუან მიგელ მარტინესი
  - ნორვეგიისა და ყირგიზეთის უნივერსიტეტების დელეგაციების სტუმრობა

საანგარიშო პერიოდში მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა არაერთი **კვლევა**, რომელთაგან აღსანიშნავია:

- კვლევა „ევროსტუდენტი“

- კვლევა „პეპლები“ - სტუდენტებისა და აბიტურიენტების გამოკითხვა „მე ვისურვებდი ვისწავლო უნივერსიტეტში, სადაც ...“
- აბიტურიენტების გამოკითხვა „რომელ უნივერსიტეტს ანიჭებენ უპირატესობას და რატომ“
- დაფინანსებადი სპეციალობების სტუდენტთა მოსწრების ანალიზი

სამსახურის მიერ განხორციელდა და კოორდინირება გაეწია არაერთ **პროექტს**. მათ შორის აღსანიშნავია**:**

- უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მომზადება დასამტკიცებლად
- მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის 2016 წლის ფესტივალზე წარდგენილი იქნა 8 ღონისძიების პროექტი, რომელთაგან 7 ღონისძიებამ წარმატებით გაიარა შესარჩევი ეტაპი.
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარდგენილი იქნა 2 პროექტი, რომელთაგან დაფინანსდა კრიმონალისტიკური ლაბორატორია.
- პროექტ „ჰაკათონის“ მხარდაჭერა
- რექტორის პროექტის „მე-უნივერსიტეტი“ კოორდინირება
- Facebook გვერდის მართვა და სტუდენტთა სტაჟირების პროექტის განხორციელება
- პროქტი „ანიმეს ხუთშაბათი“
- პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტები საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის“ კოორდინირება აწსუ-ს მხრიდან;

10. უნივერსიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ გამოწვევად კვლავ რჩება სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების გაღრმავება.

მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელ წლებში, ამ მიმართულებით არაერთი საინტერესო ინიციატივა განხორციელდა, რომლის შედეგად:

- მოხდა Microsoft-ის პროდუქტების სრული ლიცენზირება;
- დაინერგა ე.წ. „დესკტოპ აპლიკაციები და სერვერული პროდუქტები (მ.შ. - ინტერნეტ კონფერენციის გადაწყვეტა);
- მთელი უნივერსიტეტისთვის დაინერგა და სულ უფრო გამოყენებადი ხდება Microsoft-ის ელექტრონული ფოსტის სერვისი, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ტექნოლოგიას და ა.შ.

ამ მიმართულებით, 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოებიდან აღსანიშნავია:

1. <u>სასწავლო პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა:</u>
   - ლოკალურ რესურსზე გადმოვიდა/გაიმართა ელექტრონული სწავლების პორტალი (უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სისტემის ფუნქციონირება აღარ არის დამოკიდებული ინტერნეტის მოწოდების სიჩქარეზე და ხარისხზე);
   - მოდიფიცირებულია აკადემიური მოსწრების აღმრიცხველი ელექტრონული ცხრილი დეკანატებისათვის, დაემატა სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) კორპორაციულ ფოსტებზე აკადემიური შედეგების ინდივიდუალურად გადაგზავნის შესაძლებლობა (ჯერ-ჯერობით აქტიურად გამოიყენება ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე);
   - დაიხვეწა ელექტრონული რეგისტრაციის ფორმები და მიღებული შედეგების დამუშავების საშუალებები სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისათვის (Minor პროგრამებზე სტუდენტთა დარეგისტრირება, ჩარიცხვა და შედეგების ანალიზი);
   - მოდიფიცირებული იქნა სტუდენტთა სარეგისტრაციო ბაზა (ჩარიცხული სტუდენტებისათვის ხელშეკრულების ფორმასთან ერთად ავტომატურად იბეჭდება კორპორაციული ფოსტის

მისამართი და მისი გამოყენების წესები. ეროვნული გამოცდების შედეგების გამოქვეყნებისთანავე ხორციელდება ბაზაში შესაბამის ცვლილებების ასახვა და ფოსტების ფორმირება);

- საგამოცდო ცენტრში დაიხვეწა დაშიფვრის ალგორითმი, დაჩქარდა გაშიფვრის პროცესი;

2. <u>სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მხარდაჭერა:</u>
   - შეიქმნა და შესაბამის ქვედომენებზე განთავსდა საკონფერენციო ვებ-გვერდები, მათ შორის:
     - ✓ ბიზნესისა, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები – 2015“
     - ✓ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – თანამედროვე „ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება – 2015“;
   - დამუშავდა საკონფერენციო მასალები, შეიქმნა ელექტრონული დისკები და ჟურნალები;
3. <u>ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება:</u>
   - საუნივერსიტეტო კომპიუტერული პარკის კონტროლის მიზნით გაიმართა System Configuration Manager (ამ სისტემის გამართვა/დანერგვისათვის კომპანია „HTS“, 20,0 ათ. ლარს ითხოვდა);
   - I-კორპუსის II-სართულზე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს WiFi ქსელი;
   - გაეწყო და მოხმარებაში გადაეცა 100-ზე მეტი ახალი კომპიუტერი. მათ შორის ახალი კომპიუტერული ლაბორატორიები (თამარ მეფეზე და ახალგაზრდობის გამზირზე).

11. იწყება პროექტ „ელექტრონული დეკანატის“ დანერგვა.

პროექტის ფორმირება და გამოყენებისათვის მომზადება მივიდა ბოლომდე. მოხდა რამდენჯერმე მისი პრეზენტაცია და განხილვა, მოხდა მისი გამოცდა და გათვალისწინებულია მისი გამოყენება საპილოტე რეჟიმში, პირველკურსელებისათვის და თანდათანობით გავრცობა მაღალკურსელებზეც.

12. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ იქნა არაერთი საინტერესო ღონისძიება.

ცენტრი ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას. მასში გაერთიანებულია როგორც შემოქმედებითი ჯგუფები (ფოლკლორული ანსამბლები „კოლხა“ და „ადილა“, სტუდენტთა თეატრალური დასი), ისე სხვადასხვა სპორტული სექციები (ფუტსალის, მთასვლელობის, აღმოსავლური ორთაბრძოლების, მძლეოსნობის, ფრენბურთის, ტურიზმისა და სპორტული ორიენტირების).

2015-2016 სასწავლო წელს, ცენტრის ეგიდითა და ხელშეწყობით მოეწყო შემდეგი კულტურული და სპორტული ღონისძიებები:

- 2016 წლის 3.05-14.05-ის ჩათვლით, გაიმართა აწსუ უნივერსიტეტად გარდაქმნის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი „სახელოვნებო კვირეული”, რომლის ფარგლებში მოეწყო:
  - ✓ აწსუ ფოლკლორული ანსამბლების „კოლხა“-სა და „ადილა“-ს კონცერტი
  - ✓ აწსუ სტუდენტთა პოეზიის საღამო
  - ✓ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრალური დასების სპექტაკლის ჩვენება
  - ✓ აწსუ სტუდენტებისა და თანამშრომლების მიერ შექმნილი მოდელების ჩვენება (დეფილე) ხელოვნების ნიმუშების გამოფენა
  - ✓ ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი
  - ✓ მედიაპროექტ „ეტალონი“-ს მიერ განხორციელდა „საუნივერსიტეტო ეტალონი“-ს თამაში

- თეატრალურ ფესტივალზე - „თეატრალური იმერეთი“- 2016, აწსუ სტუდენტთა თეატრალური დასი წარდგა სპექტაკლით „მეზუნია ჩიტები“;
- ა/წ-ს 21 მაისს, თბილისში, სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი 2016“-ის გრანდიოზული ფინალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აწსუ სტუდენტთა და თანამშრომელთა დელეგაციამ.

უნდა აღინიშნოს, ფოლკლორული ანსამბლების „კოლხა“-სა და „ადილა“-ს აქტიური ჩართულობა არა მხოლოდ საუნივერსიტეტო, არამედ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში. აწსუ ხალხური სიმღერის ანსამბლი „ადილა“ ა/წ-ს 3-13 ივნისს, მიწვეული იყო საფრანგეთში, პარიზის სახელოვნებო უნივერსიტეტის, „პარიზი 8“-ს მიერ ორგანიზებულ საუნივერსიტეტო საგუნდო ანსამბლების დღეებთან დაკავშირებულ ფესტივალზე, სადაც ანსამბლმა საყოველთაო მოწონება და არაერთი ჯილდო დაიმსახურა; ასევე, ანსამბლი „კოლხა“ მიწვეულია იტალიაში, ბერგამოში, საერთაშორისო ფესტივალზე.

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან და სტუდენტურ თვითმმართველობასთან, მათ მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა საფაკულტეტო, თუ საუნივერსიტეტო ღონისძიებების ჩატარების მიზნით.

როგორც აღვნიშნეთ, ცენტრში ფუნქციონირებს სპორტული სექციები. უნივერსიტეტს გააჩნია საკმაო მატერიალური რესურსი: კერძოდ, დახურული სპორტული დარბაზები, ღია სპორტული მოედნები, სპორტული ინვენტარი, რათა უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევდნენ. თითოეულ სპორტის სახეობას გააჩნია საკუთარი გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს ვარჯიშები.

აწსუ არის საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის და საქართველოს მთასვლელთა გაერთიანებული ფედერაციის წევრი, შესაბამისად, ჩვენ ვმონაწილეობთ აღნიშნული ფედერაციების ეგიდით გამართულ ღონისძიებებში. როგორც, აღვნიშნეთ, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ალპინისტური კლუბი „უშბა“, რომელიც ინტენსიურად აწყობს ექსპედიციებს საქართველოს კავკასიონზე. მიმდინარე წელს გაიმართა ორი ექსპედიცია. გარდა ამისა, „უშბა“-ს პრეზიდენტი მერაბ ნემსიწვერიძე იმყოფებოდა ჰიმალაის მთებში, როგორც საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელი.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა 13 სპორტული ღონისძიება (საუნივერსიტეტო პირველობა: ფრენბურთში, კალათბურთში, მინი ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში), სადაც საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 1292 სტუდენტმა და თანამშრომელმა. განსაკუთრებით, აღსანიშნავია აწსუ ფუტსალის ნაკრები გუნდი, რომელიც 2012 წლიდან მონაწილეობს საქართველოს საუნივერსიტეტო ჩემპიონატში; გუნდი გამოდის უმაღლეს ლიგაში. უნივერსიტეტის ორი სტუდენტი გახდა საერთაშორისო ჩემპიონატების (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კარატე) ვერცხლის მედალის მფლობელი.

13. წელს პირველად გამოცხადდა რექტორის კონკურსი სტუდენტებისათვის „მე - უნივერსიტეტი“

პროექტი ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება, მათი მოტივაციის ზრდა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა, იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც დგას უნივერსიტეტი. პროექტი, ასევე, ორიენტირებულია სტუდენტებში პროექტების მომზადებისა და მართვის, ლიდერული და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, კორპორაციული კულტურის ამაღლებაზე.

პროექტის ფარგლებში, სტუდენტებმა, უნივერსიტეტის თანამედროვე გამოწვევებისა და განვითარების სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით, მოახდინეს პრობლემების იდენტიფიცირება, დასახეს მათი გადაჭრის გზები და გამოკვეთეს საკუთარი როლი არსებული ვითარების გაუმჯობესებაში. სტუდენტებმა წარმოადგინეს პროექტები, რომლებიც განიხილა საკონკურსო კომისიამ, რომლის შემადგენლობაში

შედიოდა, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ასევე სტუდენტებისა და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები.

სულ შემოვიდა 5 საპროექტო განაცხადი, რომელთაგან შეირჩა ორი:

1. **„ელექტრონული ჟურნალი: აწსუ სტუდენტური კვლევები“** - ითვალისწინებს სტუდენტური კვლევითი ხასიათის ჟურნალის ფორმირებას და ელექტრონულად განთავსებას აწსუ ვებ-გვერდზე;
2. **„ეს შენი, ჩემი, ჩვენი სივრცეა!“** - ითვალისწინებს სტუდენტების გააქტიურებას უნივერსიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური საკითხების უკეთ მოგვარებისა და მართვისათვის;

ორივე პროექტის განხორციელება დაიწყება მომდევნო სემესტრიდან.

ამასთან, გამარჯვებული პროექტების ავტორების წახალისების მიზნით, მათ მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ თელავში გამართულ საზაფხულო სკოლაში „ადამიანის ქცევის შესწავლა ინტერდისციპლინარული მიდგომებით“.

14. გაგრძელდა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია.

მიმდინარე ეტაპი დასრულდება წლის ბოლოსათვის, რის შედეგადაც მისი გამტარუნარიანობა გაიზრდება150 კაცამდე. ამჟამად, კორპუსს ვიყენებთ საერთაშორისო საზაფხულო და ზამთრის სკოლებისათვის, ვიზიტორი პროფესორებისათვის, აქტაუს უნივერსიტეტიდან ჩამოსული დოქტორანტებისათვის.

მიმდინარე წლიდან, აწსუ თვითმმართველობის ინიციატივით, რამდენიმე ოთახი დაეთმობა უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

მომდევნო წლიდან, საერთო საცხოვრებლით დაინტერესება გამოთქვეს ინგლისურენოვანი პროგრამების უცხოელმა სტუდენტებმაც.

სამომავლო პერსპექტივები

- **სტრატეგიული მნიშვნელობის ქმედებები:** უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის ფორმირებისათვის ზრუნვა, ამ მიზნით საგრანტო პროექტის მომზადება და დონორებთან მუშაობა; უნივერსიტეტში პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება და ამოქმედება; უნივერსიტეტის დიდაქტიკური კონცეფციის შემუშავება; ფაკულტეტების მიერ განვითარების სტრატეგიული მონახაზის გაკეთება და რეალიზება, აკადემიური საბჭოს წინაშე ფაკულტეტების დეკანების ანგარიშვალდებულების გაძლიერება;
- **ხარისხის განვითარება და მართვა:** ძალისხმევის კიდევ უფრო გაძლიერება ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებისათვის მზადების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით; არსებული აკადემიური პროგრამების (მ.შ. უცხოენოვანი) პროგრამების სრულყოფის, მათი შეფასების თვლადი კრიტერიუმების შემუშავებისა და პრაქტიკაში ამოქმედების, აუცილებლობის შემთხვევაში ახალი პროგრამების ფორმირებისა და განვითარებისათვის მუშაობის გაძლიერება; საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებაზე ზრუნვა უნივერსიტეტისათვის, ერთ-ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისათვის ან რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამისათვის მაინც; ეროვნულ გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ამაღლება საგნების მიხედვით, უკეთესი სტუდენტების მიღების სურვილიდან გამომდინარე;
- **საერთაშორისო ურთიერთობები:** საერთაშორისო კავშირების შემდგომ გაღრმავებაზე ზრუნვის გაგრძელება; საერთაშორისო თუ ეროვნულ საგრანტო პროექტებზე მუშაობის გაძლიერება; სამხრეთ მეზობელ ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ა.შ.; უნივერსიტეტის,

როგორც ევროპული და აზიური უნივერსიტეტების დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციის შემდგომი გააქტიურება;

- **განათლების ექსპორტი:** უცხოენოვანი საგანამანათლებლო პროგრამების მხარდაჭერის გაძლიერება; ახალი უცხოენოვანი პროგრამებისა და სასწავლო კურსების მომზადება; აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლება; უცხოელი სტუდენტების მოზიდვა როგორც აკადემიურ პროგრამებზე, ისე მოკლევადიან კურსებზე, ზაფხულისა თუ ზამთრის სკოლებში; მარკეტინგული საქმიანობის გაძლიერება, საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობა, უნივერსიტეტის პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე;
- **სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო სივრცე:** სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების გააქტიურების ხელშეწყობა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ყოველწლიური ანალიზის გაკეთება და მიღებულ შედეგებზე სწავლებისა და შეფასების ხარისხის მართვის პოლიტიკის ორიენტირება; სტუდენტური ცხოვრების შემდგომი გამრავალფეროვნება და კომფორტის ამაღლება; სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის მრავალფუნქციური ბარათების დამზადება და მათი გამოყენებისათვის პირობების შექმნა უნივერსიტეტში (შესაბამისი საგრანტო განაცხადის მომზადება და დონორებთან მუშაობის გაძლიერება); „ელექტრონული დეკანატის“ პროექტის სრულფასოვანი ამოქმედება; სტუდენტებისათვის კორპორაციულ ფოსტებზე აკადემიური შედეგების ინდივიდუალურად გადაგზავნის შესაძლებლობის განვითარება ყველა ფაკულტეტზე; უნივერსიტეტში WiFi თავისუფალი წვდომის ქსელის გაზრდა;
- **უნივერსიტეტი ყველასათვის:** უნივერსიტეტში განსაკუთრებული საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების სრული ინკლუზიის ხელშეწყობა, მათზე ორიენტირებული სივრცის კიდევ უფო გაფართოება, ლიფტებისა და სპეციალური მოწყობილობების დამონტაჟება;
- **თანამშრომელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება:** თანამშრომლებისათვის კველიფიკაციის ამაღლებაზე, გადამზადებაზე და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ზრუნვა; საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში აწსუ აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვის შემდგომი გაძლიერება; ტრენინგები ორგანიზება უნივერსიტეტში, ქართველი თუ უცხოელი პროფესიონალების მონაწილეობით;
- **ცვლადებად გარემო პირობებზე ორიენტირებული მართვა:** უნივერსიტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და გარემოზე ადაპტირების პროცესის შემდგომი გაგრძელება; სასწავლო და კვლევით პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების შემდგომი გაუმჯობესება; სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; ქ. ქუთაისის ადმინისტრაციასთან ურთიეთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება ერთობლივი პროექტების განხორციელების კუთხით;